

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრთა ნაწილის მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონო დავით,

მოგმართავთ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრთა ნაწილის სახელით.

მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდა ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ბატონი შალვა შავგულიძის საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში არსებული პერსონალური ინფორმაციის უკონტროლო და შეუზღუდავი წვდომის საკანონმდებლო დარეგულირება ა.წ. 1 ნოემბრიდან 2015 წლის აპრილამდე გადაიდება.

გაცნობებთ, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივა იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მომზადდა ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფთან შეთანხმების გარეშე, რაც, მიუღებელია, ვინაიდან წარმოადგენს იმ სამუშაო ჯგუფის წევრების იგნორირებას, რომელიც კანონი საფუძველზე სპეციალურად ამ საკითხისათვის შექმნა იურიდიულმა კომიტეტმა.

მას შემდეგ რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა კანონპროექტის ინიცირება, სამუშაო ჯგუფის რვა წევრმა, მათ შორის სახალხო დამცველის წარმომადგენელმა და საქართველოს პარლამენტის ორმა წევრმა (ნინო გოგუაძემ და თამარ კორძაიამ), განცხადებით მივმართეთ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვახტანგ ხმაღაძეს და ვითხოვეთ სამუშაო ჯგუფის სასწრაფოდ შეკრება აღნიშნულ ინიციატივაზე მსჯელობის მიზნით. სამწუხაროდ, სამუშაო ჯგუფი არ იქნა მოწვეული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე არსებობს ევროსაბჭოს ექსპერტთა არაერთი დასკვნა, სადაც ხაზგასმულია დღევანდელი სისტემის შეცვლის აუცილებლობა, როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წინაპირობა. 24-25 სექტემბერს საქართველოში ჩამოსულმა ევროპელმა ექსპერტებმა შემაჯამებელი რეკომენდაციები წარმოადგინეს. ექსპერტთა ბოლო რეკომენდაციების შემდეგ სამუშაო ჯგუფი არ ყოფილა მოწვეული. ჯგუფში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ გამართულა და მასზე კენჭისყრა არ ჩატარებულა. შესაბამისად, გაუგებარია რას ემსახურება და რა უდევს საფუძვლად, სამუშაო ჯგუფის გვერდის ავლით დაჩქარებული წესით იურიდიული კომიტეტის მიერ კანონპროექტის ინიცირებას.

ვფიქრობთ, რომ პრობლემისა და სამუშაო ჯგუფის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება წარმოადგენს პროცესუალური დემოკრატიის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხის გადავადების მხარდაჭერის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი გაახანგრძლივებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანების პირადი ცხოვრების დარღვევის და ღირსების შელახვის სისტემის არსებობას. აღნიშნული სისტემა მუდმივად იარაღად გამოიყენებოდა სამართალდამცავი ორგანოების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიერ პოლიტიკური ოპონენტებისა და განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების წინააღმდეგ. სამწუხაროა რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც გაჩირდა გამბედავი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და ხელისუფლებამ ვერ დათმო იარაღი, რომლის მეშვეობითაც მასობრივად ირღვეოდა ადამიანის უფლებები.

იმედი გვაქვს, რომ თქვენ პირადად, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, არ დაუშვებთ საქართველოში მოსმენების მანკიერი სისტემის არსებობის გახანგრძლივებას. ამით თქვენ დაამტკიცებთ, რომ საქართველოს აქვს შანსი, გახდეს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო.

ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრები:

ეკა გიგაური

ლაშა ტულუში

კახა კოჟორიძე

ზვიად ქორიძე

ლიკა საჭაია